




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 57

2018 წლის 17 მაისი

ხაშური



„საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 სექტემბრის №60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 სექტემბრის №60 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) 06/10/2014; 010250050.35.143.016289) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „თ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის სტრუქტურა, ფუნქციები, საშტატო ნუსხა, თანამდებობრივი სარგოები, სახელფასო დანამატები და სამივლინებო ხარჯები-განახლებადია ცვლილების შემთხვევაში;

ბ) საკრებულოს და მერიის თანამდებობის პირთა ვინაობა, ფოტოსურათი, ბიოგრაფიული მონაცემები და საკონტაქტო ინფორმაცია-განახლებადია ცვლილების შემთხვევაში;

გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მისი ორგანოების, მუნიციპალიტეტის მერიის და მისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები (დებულება/წესდება, შინაგანაწესი)-განახლებადია ცვლილების შემთხვევაში;

„თ“ საკრებულოს და მერიის თანამდებობის პირთა საქმიანობის ანგარიშები- განახლებადია ცვლილების შემთხვევაში;“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



მიხეილ ჯანაშვილი